

ფსიქოლოგიური კონტროლის, მიღწევაზე ორიენტირებული
ფსიქოლოგიური კონტროლის და დამოკიდებულებაზე ორიენტირებული
ფსიქოლოგიური კონტროლის კავშირის კვლევა იდენტობის პროცესებსა
და ქცევის კონტროლთან ქართველ მოზარდებში

ნინო ჩოხელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური
ფსიქოლოგია): კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჩოხელი 06.22.2018

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფსიქოლოგიის დოქტორს ქალბატონ ნინო სხირტლაძეს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის მომზადების თითოეულ ეტაპზე მიზიარებდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის კვლევაში ჩართვისათვის, რომლის ფარგლებშიც საშუალება გვქონდა გამოგვეყენებინა ქართულად ნათარგმნი და ჩვენს პოპულაციაზე მორგებული ფსიქოლოგიური საზომები. აგრეთვე, მათი დახმარებით შევძელით კვლევის ჩატარება საჯარო სკოლებში, რის შედეგადაც გამოკითხულ იქნა 500-ზე მეტი მოზარდი.

მადლობას ვუხდით ქ.თბილისის 5 საჯარო სკოლის (N 23, 82, 122, 156, 190) და ქ.რუსთავის 3 საჯარო სკოლის (N 13, 20, 23) დირექტორებსა და თანამშრომლებს, რომლებიც ჩაერთვნენ კვლევაში და მაქსიმალურად შეგვიწყვეს ხელი მის განხორციელებაში.

მადლიერება მინდა გამოვხატო აგრეთვე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის პროგრამის პროფესორ-მასწავლებლების მიმართ, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემი დარგობრივი ცოდნის დაგროვებაში.

აბსტრაქტი

ფსიქოლოგიური კონტროლი დაკავშირებულია მშობლის მიერ აღზრდისას გამოყენებულ მანიპულაციურ ქცევასთან, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე. კვლევა შეისწავლის ფსიქოლოგიური კონტროლის მიღწევაზე ორიენტირებულ და დამოკიდებულებაზე ორიენტირებულ ფსიქოლოგიური კონტროლის კავშირს, ქცევის კონტროლსა და იდენტობის პროცესებთან. ამასთან ერთად, იკვლევს დედისა და მამის ფსიქოლოგიური კონტროლის გამოვლენის სხვაობებს შვილ ბიჭებსა და შვილ გოგონებს შორის. კვლევაში მონაწილეობდა 14-დან 18 წლამდე 510 მოზარდი. საკვლევ ინსტრუმენტს წარმოადგენდა ბარბერის ზოგადი ფსიქოლოგიური კონტროლისა და ქცევის კონტროლის სკალები, სოენენსის სპეციფიკური ფსიქოლოგიური კონტროლის სკალა (DAPCS)¹, და ლუქსის ექვსგანზომილებიანი პიროვნული იდენტობის კითხვარი (DIDS)². კვლევაში გამოვლენილი შედეგები გვიჩვენებს, რომ მიღწევაზე და დამოკიდებულებაზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური კონტროლის მაღალი დონე დაკავშირებულია ქცევის კონტროლის მაღალ დონესთან. დედის ქცევის კონტროლი, ზოგადი ფსიქოლოგიური კონტროლი და ფსიქოლოგიური კონტროლის ორი ფორმა უარყოფით კავშირში აღმოჩნდა მუდმივ ძიებასთან, ხოლო დადებით კავშირში - არჩევანთან იდენტიფიკაციასა და არჩევანის გაკეთებასთან. ამასთან ერთად, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა გამოვლინდა ბიჭებსა და გოგონებს შორის, დედისა და მამის ფსიქოლოგიური კონტროლის თვალსაზრისით. მნიშვნელოვნად საგულისხმოა კვლევის შედეგები, რომელიც ამდიდრებს მიღწევაზე და დამოკიდებულებაზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური კონტროლის შესახებ არსებულ თეორიულ ცოდნას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: მიღწევაზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური კონტროლი, დამოკიდებულებაზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური კონტროლი, იდენტობის პროცესები.

¹Dependency-oriented and Achievement-oriented Psychological Control Scale მიღწევაზე ორიენტირებული და დამოკიდებულებაზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური კონტროლის სკალა

²Dimensions of Identity Development Scale, იდენტობის პროცესების განვითარების სკალა;

Abstract

Psychological control is connected with the manipulation behavior used by parent, which makes negative influence at child's personal development. Research was made about psychological control, oriented at achievement, dependence oriented psychological control union with behavior control and identity processes. Also study was made at detecting differences of mother's and father's psychological control between daughters and sons. 510 teenagers took part in this research, age 14-18 years. Study instrument was: Barber's psychological control, Soenen's (DAPCS), and Luk's six -dimensional personal identity questionnaire(DIDS).Results revealed in the research show that, psychological control growth of achievement and dependence is related with growth of behavior control. Mother's behavior control and it's two forms were in a negative relationship with permanent searching, but positive relationship with the choice and identification of the choice. In addition, statistically significant differences were revealed between boys and girls, in the psychological control of the mother and father. The results of the study are great significance, which enriches the theoretical knowledge of the psychological control of achievement and attitude.

Key Words: Achievement oriented psychological control, Dependence-oriented psychological control, Identity Processes.